სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულება № 40

ქ.თბილისი 8 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია მღვდელაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ გიგა ჯინჭარაძის სახით, პირადი №26001004311, (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სამღებრო სამუშაოს შესყიდვა (CPV:45442100) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 1560,00 (ერთი ათას ხუთასსამოცი) ლარს და მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. თბილისი, შუამთის N20.

4.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ

შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. კერძოდ:

- სკოლის საკლასო ოთახების სამღებრო სამუშაოს შესრულება;

დ) დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები;

ე) სამუშაოების პარალელურად, საკუთარი ძალებით და სახსრებით პერიოდულად გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი ნარჩენი მასალებისაგან.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლის დირექტორი. 6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. სამუშაოს შესრულების გარანტია

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

8.2. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება უნდა მოხდეს შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების

დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლა მის. : ქ. თბილისი, შუამთის N20, ს/კ 208142776 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE43LB0121151729644000 **დირექტორი** (ხელმოწერა) ბ.ა	**მიმწოდებელი:** ი/მ გიგა ჯინჭარაძე პირადი № 26001004311 მის.: ქ.თბილისი, ვარკეთილი 3, 3ა მ/რ, კ.329, ბ. 46 ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE81TB7422445063600014 (ხელმოწერა)

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია: სამღებრო სამუშაოები

№	დასახელება	კლასიფიკატორის კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ერთი საკლასო ოთახის შეფითხვა-შეღებვა	45442100	კვ.მ	160	6,00	960,00
2	ერთი საკლასო ოთახის ჭერის შეფითხვა-შეღებვა	45442100	კვ.მ	80	6,00	480,00
3	სამი საკლასო ოთახის დაზიანებული მონაკვეთების შეფითხვა	45442100	კვ.მ	20	6,00	120,00
	სულ ღირებულება					1560,00ლარი

სსიპ ქალაქ თბილისის 108 საჯარო სკოლის დირექტორი /მაია მღვდელაძე/

ი/მ გიგა ჯინჭარაძე /გიგა ჯინჭარაძე/

მიღება – ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 27. 07. 2016წ

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ერთის მხრივ ი/მ გიგა ჯინჭარაძე („მიმწოდებელი“) და მეორეს მხრივ სსიპ თბილისის №108 საჯარო სკოლის დირექტორი მაია მღვდელაძე („მიმღები“) ვადგენთ აქტს მასზედ, რომ „მიმწოდებელმა“ ნამდვილად მიაწოდა ხელშეკრულების შესაბამისად 1560,00 ლარის ღირებულების სამღებრო სამუშაო.

„მიმწოდებელი“
ი/მ გიგა ჯინჭარაძე

„მიმღები“

სსიპ ქალაქ თბილისის
№108 საჯარო სკოლის
დირექტორი



შენიშვნები/REMARKS

საქართველო Georgia

პასპორტი PASSPORT

ტიპი TYPE P

ქვეყნის კოდი CODE OF STATE GEO

პასპორტი / PASSPORT 10AB95701

გვარი / SURNAME
ჯინჭარაძე / JINTCHARADZE

სახელი / GIVEN NAME
გიგა / GIGA

მოქალაქეობა / CITIZENSHIP
საქართველო / GEORGIA

პირადი ნომერი / PERSONAL NUMBER
26001004311

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH
17 მაი / MAY 1977

სქესი / SEX
მ / M

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ფოთი / POTI

მფლობელის ხელმოწერა / OWNER'S SIGNATURE

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
11 მარ / MAR 2011

მოქმედების ვადა / EXPIRY DATE
11 მარ / MAR 2021

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო / MINISTRY OF JUSTICE

P<GEOJINTCHARADZE<<GIGA<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<
10AB957016GEO7705175M2103112<<<<<<<<<<<<<<<<00

ასლი დედანთან სწორია.

ქ.ქარცივაძე

№103 ნოტარიუსი Public Notary 208142776

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 4195

თარიღი: 2016 წლის 27 07, ოთხშაბათი

გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლა		
		ანგარიში (დებეტი):	GE43LB0121151729644000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:			
საიდენტიფიკაციო კოდი:		საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	
მიმღების დასახელება:	ი/მ გიგა ჯინჭარაძე		
საიდენტიფიკაციო კოდი:		ანგარიში (კრედიტი):	GE81TB7422445063600014
მიმღების ბანკი:	"თიბისი ბანკი"	ბანკის კოდი:	TBCBGE22
გადახდის დანიშნულება:	სარემონტო სამუშაოს შესყიდვა (ს/კ 26001004311)		
ხელმოწერა:			

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL

GEL

1560.00

თანხა სიტყვიერად

ერთი ათას ხუთას სამოცი *GEL* და *00*

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 27.07.2016

ხელმოწერა:

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK
შესრულებულია ინტერნეტ ბანკის მეშვეობით